

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

ლევანი გეგეშიძე

Levan Gegeshidze

თანამედროვე ჩინეთის ომისა და დიდი სტრატეგიის  
ფილოსოფია

The Philosophy of War and Grand Strategy in Contemporary  
China

საგანმანათლებლო პროგრამა: პოლიტიკური ფილოსოფია  
Educational programme: Political Philosophy

დისერტაცია წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree of Philosophy

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2026

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლევანი გეგეშიძე

თანამედროვე ჩინეთის ომისა და დიდი სტრატეგიის  
ფილოსოფია

საგანმანათლებლო პროგრამა: პოლიტიკური ფილოსოფია

დისერტაცია წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2026

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:  
მიხეილ გოგატიშვილი  
ფილოსოფიის დოქტორი  
პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება  
უნივერსიტეტის ვებ – გვერდზე [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული და  
სოციალური მეცნიერებების სკოლის საატესტაციო -  
საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობა-  
ქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში,  
თბილისი, ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე  
– 13 კმ)

## სარჩევი

შესავალი.....	1
სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა .....	6
კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა და შედეგები .....	10
განსჯა, მეცნიერული მიგნებები და სიახლე.....	11
დასკვნა და რეკომენდაციები.....	26

## შესავალი

თანამედროვე ჩინეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება ომების პროცესში მიმდინარებდა. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დიდი, მაგრამ ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ჩინეთი დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებს დაუპირისპირდა. მოგვიანებით კი მოდერნიზებული იაპონიის თავდასხმის მსხვერპლი გახდა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ომის სტიქიაში იშვა. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერები თეორიულად და პრაქტიკულად სწავლობდნენ ომის ბუნებასა და ხასიათს. ისინი ცდილობდნენ რაციონალურად ემართათ ომი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს თანამედროვე ჩინეთის ომისა და დიდი სტრატეგიის ფილოსოფია, როგორ ხედავდა და ხედავს მმართველი პოლიტიკური ელიტა ომს, რა არის მათთვის სამართლიანი ომი და რა შემთხვევაშია ძალის გამოყენება გამართლებული.

ომი, როგორც ცოდნის სისტემა ძალზე რთული და კომპლექსურია, იგი პოლიტიკური ფილოსოფიის ქვედარგად გაიაზრება. ომი შინაგანად წინააღმდეგობრივია, მაგრამ იმდენად, რამდენადაც იგი პოლიტიკური მიზნების თეორიულ გააზრებას ემსახურება, მისი მიზნები და ამოცანები მჭიდრო კავშირშია პოლიტიკური ფილოსოფიის ამოცანებთან. მრავალი თაობის სხვადასხვა მკვლევრის ძალისხმევით გაჩნდა ცოდნის სისტემა, რომელსაც ახლა ომის ფილოსოფია ეწოდება. ომის ფილოსოფია არ ადგენს და არ განსაზღვრავს რა და როგორ უნდა გავაკეთოთ აქ და ამჟამად. იგი მიუთითებს საგანგებო ვითარებაში რისგან უნდა დავიწყოთ და რით ვიხელმძღვანელოთ გადაწყვეტილების მიღებისას, მიმართულებებისა და მოქმედებების მეთოდების განსაზღვრისას.

ომის ფილოსოფიისგან განსხვავებით, დიდი სტრატეგია გულისხმობს სახელმწიფოს უზოგადეს და ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელშიც გაერთიანებულია სახელმწიფოს ძალის სხვადასხვა ელემენტი. დიდი სტრატეგიის მიზნები გრძელვადიანია. იგი, როგორც მომავალზე ორიენტირებული პროექტი, მიზნად ისახავს ახალი წესრიგის ჩამოყალიბებას ან არსებულის შენარჩუნებას. დიდი სტრატეგია ფართო მასშტაბისაა, იგი მოიცავს პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და საინფორმაციო განზომილებებს. პასუხობს სისტემურ და შიდა გამოწვევებს, მაგრამ ის ყოველთვის იკვებება ისტორიული და ინტელექტუალური ტრადიციებიდან.

**კვლევის საგანი და ობიექტი** – კვლევის ობიექტს წარმოადგენს თანამედროვე ჩინეთის საერთაშორისო პოლიტიკა, რაც მოიცავს ქვეყნის გეოპოლიტიკურ სტრატეგიას, სამხედრო დოქტრინასა და გლობალურ ძალთა ბალანსში მისი როლის ტრანსფორმაციას. ჩინეთის საგარეო და სამხედრო პოლიტიკის ევოლუცია კვლევაში განიხილება როგორც გლობალურ და რეგიონულ უსაფრთხოების სისტემაზე გავლენის მქონე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ნაშრომის ძირითად ჩარჩოს განსაზღვრავს.

**კვლევის საგანს** წარმოადგენს ჩინეთის ომისა და დიდი სტრატეგიის ფილოსოფია, ანუ ის თეორიული და პრაქტიკული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩინეთის მიერ ომის წარმოებასა და დიდი სტრატეგიის ჩამოყალიბებას. ამ პროცესში ყურადღება გამახვილებულია ომის ლეგიტიმაციის საკითხებზე, სამხედრო სტრატეგიის ფორმირების დინამიკასა და ჩინეთის გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტების ანალიზზე.

**მეცნიერული სიახლე** – ჩინეთის საგარეო პოლიტიკა და დიდი სტრატეგია ძირითადად შეისწავლება საერთაშორისო ურთიერთობის თეორიის რეალიზმის მეშვეობით. ასევე, ამ ბოლო დროს კვლევებში აქცენტი კეთდება კულტურულ და ისტორიულ მიდგომებზე. უშუალოდ სტრატეგიის თეორიის მიხედვით მისი შესწავლის ცნობილი მაგალითები მცირეა. ხოლო არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის თეორიის შემოწმების მაგალითები თითქმის არ გვხვდება. ასევე, ჩინეთის დიდი სტრატეგიის კომპლექსური, მულტიდისციპლინური ანალიზი ჯერ კიდევ შეზღუდულია. ნაშრომი ქმნის მულტიდისციპლინურ ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს ფილოსოფიას, სტრატეგიულ კვლევებსა და საერთაშორისო ურთიერთობებს, რაც დასმული მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტის ახლებური მიდგომას წარმოადგენს. იგი ტრადიციული მოდელების შემოწმების შედეგად (თავდასხმითი რეალიზმი, ნეოკლასიკური რეალიზმი, არაპირდაპირ მოქმედების სტრატეგია), აყალიბებს ახალ, ჰიბრიდულ მოდელს. კერძოდ, ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული თავდასხმითი რეალიზმისა და არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის თეორიული კავშირი. კვლევა აჩვენებს, რომ ჩინეთის მიერ ძალის გამოყენება და ძალის გამოყენების მუქარა უფრო სრულყოფილად აიხსნება ამ თეორიების სინთეზური გამოყენებით.

ომის ფილოსოფიის თეორიული ჩარჩოდან გამომდინარე დასმულია შემდეგი საკვლევო კითხვები და ჰიპოთეზა:

Q1 – რა გავლენას ახდენს სტრატეგიული კულტურა, კომუნისტური იდეოლოგია და ჩინური ნაციონალიზმი თანამედროვე ჩინეთის ომის ფილოსოფიაზე?

Q2 – როგორ აისახება ჩინური ნაციონალიზმი თანამედროვე ჩინეთის ძალის გამოყენებისა და ძალის გამოყენების მუქარის ლეგიტიმაციაზე?

H1 – ჩინეთის ომის ფილოსოფია პოლიტიკური მოქმედების მარგანიზებელ ძალასა და პრინციპებს წარმოადგენს, რომელიც მოდერნული გამოცდილების (რევოლუციური ომი, მარქსისტული იდეოლოგია და ჩინური ნაციონალიზმი) და ტრადიციული სტრატეგიული კულტურის სიმბიოზის საფუძველზე ჩამოყალიბდა. იგი ქვეყნის დიდი სტრატეგიის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს.

არაპირდაპირი სტრატეგიის თეორიის საფუძველზე ნაშრომში ჩამოყალიბებულია შემდეგი საკვლევე კითხვა და ჰიპოთეზები:

Q1 – რომელი ემპირიული ინდიკატორებით (სტრატეგიული გადაწყვეტილებები და ქვეყნითი პატერნები) გამოიხატება ჩინეთის არაპირდაპირი მოქმედებები დიდი და სამხედრო სტრატეგიის დონეზე? რა მოსალოდნელ შედეგებსა და შესაძლო მოქმედებათა ხაზს წარმოშობს იგი საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში?

H2 – მაო ძედუნის დიდი სტრატეგია ხასიათდებოდა არაპირდაპირი მოქმედებების კომპლექსური და სინქრონული გამოყენებით, რაც მოიცავდა პოლიტიკური (ალიანსები, პროპაგანდა, დეზინფორმაცია) და სამხედრო (მანევრული ომი, მომარაგების ხაზებზე და ზურგში შეტევა) ბრძოლის მეთოდების შერწყმას. ამ სტრატეგიის მთავარი მიზანი იყო მოწინააღმდეგის მდგრადობის მოშლა და ჩინეთის ძლიერებისთვის საფუძვლის ჩაყრა.

H3 – ჩინეთის დიდი სტრატეგია (დენ სიაოპინის, ძიან ძემინის და ხუ ძინთაოს პერიოდში) გულისხმობდა ჩინეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ძალის თანდათანობით მოდერნიზაციას და გაძლიერებას (ჩინეთის ძლიერებისთვის საფუძვლის ჩაყრა) ისე, რომ მეზობელ სახელმწიფოებს ჩინეთი არ აღექვათ საფრთხედ, რათა თავიდან აეცილებინა მის წინააღმდეგ მტრული ალიანსების ფორმირება. ხოლო ძალის გამოყენება ან მუქარა მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგის ალიანსში ყველაზე ძლიერი აქტორის პოლიტიკური

ხელმძღვანელობის ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლას, ალიანსში სუსტ წევრზე თავდასხმის ან მუქარის გზით.

H4 – სი ძინფინგის დიდი სტრატეგია გულისხმობს ჩინეთის გლობალურ ძალად ტრანსფორმაციას ისე, რომ თავიდან აირიდოს აშშ – თან პირდაპირი სამხედრო და პოლიტიკური დაპირისპირება. იგი ქმნის გეოეკონომიკურ, დიპლომატიურ და სამხედრო კავშირებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ამერიკისა და მისი მოკავშირეების დასაბალანსებლად. მისი ძალის გამოყენების სტრატეგია ემყარება მუქარას, ზეწოლასა და ესკალაციის კონტროლს. ხოლო ოპერატიულ დონეზე “ნაცრისფერი ზონის” მიდგომას მოწინააღმდეგის ქვევის შესაცვლელად, ესკალაციის ზღურბლის გადალახვის გარეშე.

თავდასხმითი რეალიზმის თეორიის თანახმად დასმულია შემდეგი საკვლევითი კითხვა და ჰიპოთეზა:

Q1 – შეესაბამება თუ არა ჩინეთის დიდი და სამხედრო სტრატეგია თავდასხმითი რეალიზმის თეორიულ ინდიკატორებს რეგიონული დომინაციის, სიმდიდრისა და ძალის მაქსიმიზაციის შესახებ?

H5 – თანამედროვე ჩინეთის დიდი სტრატეგიის მიზანია გახდეს ჰეგემონი რეგიონში, რისთვისაც ის ცდილობს ქვეყნის სიმდიდრის მაქსიმიზაციას და რეგიონში დომინანტი შეიარაღებული ძალების შექმნას. მისი სამხედრო სტრატეგია ორიენტირებულია აშშ-ის რეგიონიდან განდევნაზე. ასევე, იგი ახორციელებს გეოეკონომიკურ პროექტებს, რამაც უნდა უზრუნველყოს რეგიონში დომინირება და გლობალურ დონეზე აშშ-ის დაბალანსება.

ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის დაშვებების თანახმად დასმულია შემდეგი საკვლევითი კითხვა და ჰიპოთეზა.

Q1 – არსებობს თუ არა ინდიკატორები მტკიცებისთვის, რომ შეზღუდულმა ან/და ღია სტრატეგიულმა გარემომ,

ლიდერის იდეებმა და სტრატეგიულმა კულტურამ განაპირობა ჩინეთის დიდი სტრატეგია.

H6 – თანამედროვე ჩინეთის დიდი სტრატეგია ჩამოყალიბდა სტრატეგიული (შეზღუდული და/ან ღია) გარემოს, ლიდერის იდეოლოგიისა და ჩინეთის სტრატეგიული კულტურის კომპლექსური ურთიერთქმედების შედეგად.

### სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

ნაშრომში განხილულია სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ეხება ზოგადად ომის ფილოსოფიას და დიდ სტრატეგიას. მაგალითად, კარლ ფონ კლაუზევიცის, იულიუს ევოლას და სუნ ძის შეხედულებები ომის რაობის, მისი მიზნებისა და დანიშნულების შესახებ. პოლიტიკურ ფილოსოფიაში ომს და მის მიზნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ომის ფილოსოფია ცდილობს უპასუხოს რამდენიმე ფუნდამენტურ კითხვას: რა არის ომი? რა იწვევს მას? როგორია ომსა და ადამიანის ბუნებას შორის კავშირი? რა პირობებში შეიძლება ჩაითვალოს ომი სამართლიანად?

ომის არსის უკეთ გასაგებად უპირველესად მისი ცნების განსაზღვრაა საჭირო. კარლ ფონ კლაუზევიცი ომს ახასიათებს, როგორც „ძალადობის აქტს, რომლის მიზანია ვაიძულოთ მოწინააღმდეგე ჩვენს ნებას დაემორჩილოს“. მისთვის ომი პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით. რეალური ომი ყოველთვის არ ემთხვევა „აბსოლუტური ომის“ თეორიულ კონცეფციას. მასში გადამწყვეტ როლს ხშირად ისეთი ფაქტორები ასრულებენ, როგორცაა „შემთხვევითობა, რისკი და ბედი“. ომის პროცესში გაუთვალისწინებელი მოვლენები, მოულოდნელი გარემოებები და დაუგეგმავი შედეგები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მის ყველა განზომილებაზე. სწორედ ამ მიზეზით, ომი არასდროს არ არის მხოლოდ რაციონალური

გათვლებისა და გეგმების შედეგი – მასში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მოულოდნელობები და არაპროგნოზირებადი ფაქტორები.

ი.ევოლა ფიქრობს, რომ ლიბერალ-დემოკრატიულ სახელმწიფოებში ბურჟუაზიამ სრულად დაიქვემდებარა „ჯარისკაცი“ და იგი მის სამსახურში ჩადგა, როგორც ინსტრუმენტი საგარეო კონფლიქტების გადაწყვეტის. მისთვის ომის გამართლების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი გმირობის იდეაა, რომელიც ადამიანის რუტინულ არსებობას აზრს სძენს და შთაგონებას აძლევს, რათა საკუთარ თავში გმირული არსი გამოავლინოს. ომი უზრუნველყოფს ცხოვრების სიღრმისეულ განცდას, რომელიც უშუალოდ სიკვდილის არსებობაზეა დამყარებული. „დრო, რომელიც სიკვდილის პირისპირაა გატარებული, თავისი მნიშვნელობით აღემატება ხანგრძლივ და მშვიდ ცხოვრებას.“

ჩინეთის მთავარ ომის ფილოსოფოსად სუნ-ძი რჩება. იგი თავის ნაშრომის „ომის ხელოვნება“ პირველივე თავში გვაძლევს ომის ფენომენის გააზრებას. „ომის ხელოვნების“ ტექსტი გვეუბნება, რომ „ომი ეს არის დიდი საქმე სახელმწიფოსთვის“, იგი „სიკვდილ-სიცოცხლის გზაა“. ამდენად, ის უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული, რაც თანამედროვე ენაზე ომის ფენომენის კვლევას გულისხმობს. სუნ-ძის სამხედრო მოძღვრება ემყარება ორ ფუნდამენტურ პრინციპს: მოწინააღმდეგის ცოდნას და საკუთარი ძალების შეცნობას. ეს ცოდნა განხილულია, როგორც კატეგორიული და უპირობო მოთხოვნა. მისი ცნობილი დებულება – „იმას, ვინც იცნობს თავის მტერს და საკუთარ თავს, არ ემუქრება საფრთხე ასეულობით ბრძოლაში“, ხაზს უსვამს ამ პრინციპის გადამწყვეტ მნიშვნელობას. ვინაიდან ომი სიკვდილ-სიცოცხლის გზაა, იგი სახელმწიფოების განადგურებას, დასუსტებას და გაღარიბებას იწვევს. სუნ-ძის მიხედვით, ომი სწრაფად უნდა დასრულდეს. ის ხაზს უსვამს, რომ ხანგრძლივი ომი

აკნინებს არმიის საბრძოლო სულისკვეთებასა და შეიარაღებას, ხოლო ხანგრძლივი კამპანიები სახელმწიფოს რესურსების გამოფიტვას იწვევს. სუნ-ში დიდ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, კერძოდ, „დიპლომატიას“, როგორც კონფლიქტის თავიდან აცილების ან სისხლის ღვრის მინიმუმაციის საშუალებას. მისთვის იდეალურია გამარჯვება ბრძოლის გარეშე. მტრის გეგმებზე თავდასხმის ადრეულ სტადიაზე განხორციელება, სავარაუდოდ, გულისხმობს დიპლომატიურ მანევრებს, პოლიტიკურ ვაჭრობას, მოლაპარაკებებსა და დეზინფორმაციას, თუმცა ავტორი დეტალებს არ აკონკრეტებს. სტრატეგიული პრიორიტეტების იერარქიაში, სუნ-ში შემდგომ ნაბიჯად მტრის ალიანსების რღვევას განიხილავს, ვინაიდან იზოლირებული მოწინააღმდეგე ნაკლებად ეფექტურია საბრძოლო მოქმედებების წარმოებაში და უფრო სწრაფად მარცხდება.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია კ.გრეის სტრატეგიის ზოგადი თეორია. იგი ფიქრობს, რომ ყველა სტრატეგია, თავისი არსით, დიდი სტრატეგიის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ძალის გამოყენებისას, იქნება ეს შეზღუდული თუ მასშტაბური, აუცილებელია გააზრებული იყოს სახელმწიფოს ეკონომიკური, დიპლომატიური და სხვა რესურსების ერთობლივი გამოყენება. მისი აზრით, დიდი სტრატეგია სტრატეგიის ზოგადი თეორიის უმაღლეს დონეს წარმოადგენს. როდესაც პოლიტიკური ბრძოლა კონკრეტულ პოლიტიკას წარმოშობს, ამ პოლიტიკას დიდ სტრატეგიად გარდაქმნა სჭირდება, რათა მან უზრუნველყოს სახელმწიფოს გრძელვადიანი ინტერესების დაცვა. ამ პროცესში სამხედრო ძალის გამოყენებაც ერთ – ერთი შესაძლო ინსტრუმენტია, თუმცა ის მხოლოდ ფართო სტრატეგიული ჩარჩოს ერთ-ერთი ელემენტი უნდა იყოს.

ასევე, ნაშრომში შესწავლილია ჩინელი და დასავლელი ავტორების მოსაზრებები თანამედროვე ჩინეთის ომის ფილოსოფიისა და დიდ სტრატეგიის შესახებ. კვლევაში

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მათ ძედუნის ომისა და სტრატეგიის თეორიაზე. განხორციელდა მისი სამხედრო შრომების ანალიზი და მოხდა შედარება ლიდერ ჰარტის თეორიულ პარადიგმებთან. მათ ძედუნი არა მხოლოდ პარტიზანული ომის ლიდერი იყო, არამედ ამ ომის თეორიული საფუძვლებიც შექმნა. მისი ომის ფილოსოფია მარქსისტულ დოქტრინას ეფუძნება და იზიარებს მოსაზრებას, რომ „ომი კერძო საკუთრების წარმოშობის შედეგია და კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამოხატულებაა“. მათს წარმოდგენით, კაცობრიობის განვითარების საბოლოო ეტაპი ომის, როგორც ფენომენის, სრული აღმოფხვრით უნდა დასრულდეს. თუმცა მისივე აზრით, ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია ომის გარეშე. ეს გარდამავალი ეტაპი რევოლუციურ ომს უნდა დაეთმოს. მათ ომებს სამართლიან და უსამართლოდ ყოფდა. მისი შეფასებით, ყველა რევოლუციური ომი ისტორიულად გამართლებული და სამართლიანი იყო, ხოლო კონტრრევოლუციური ომები – უსამართლო. როგორც მარქსისტი, ის მიიჩნევდა, რომ კაცობრიობა ომების განვითარების ბოლო, ყველაზე მასშტაბურ და ინტენსიურ ფაზაში იმყოფებოდა. ამ კონტექსტში, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბრძოლა, ერთი მხრივ, სამართლიან ომად განიხილებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, აღქმული იყო, როგორც არა მხოლოდ ჩინეთის ერის, არამედ მთლიანად კაცობრიობის ხსნის გზა.

მიუხედავად იმისა, რომ მათ ძედუნის მიდგომა ომისადმი იდეოლოგიურ საფუძველს ეყრდნობოდა, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის მეცნიერულ შესწავლას. მისი აზრით, ომისა და რევოლუციის წარმატებით წარმართვა შეუძლებელია, თუ არ მოხდება ომის ზოგადი კანონების, აგრეთვე რევოლუციური ომის სპეციფიკური პრინციპების საფუძვლიანი გააზრება.

მათ მიიჩნევდა, რომ ომის ანალიზის მთავარი ობიექტი ის კონკრეტული კონფლიქტები და რევოლუციები უნდა

ყოფილიყო, რომლებშიც თავად ჩინეთი მონაწილეობდა. მისი შეხედულებით, ომის მეცნიერული შესწავლა უნდა მოიცავდეს სამ ძირითად კომპონენტს: „ომის ზოგად კანონებს, რევოლუციური ომის უნივერსალურ პრინციპებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩინეთის რევოლუციური ომისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ კანონზომიერებებს“. ომის, როგორც ერთიანი მოვლენის, კვლევა და მისი მართვის ხელოვნება სტრატეგიული დონის ამოცანას წარმოადგენს, მაშინ როდესაც ომის კონკრეტული ასპექტების შესწავლა ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე ხორციელდება.

### კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა და შედეგები

კვლევა მიზნად ისახავს გადაამოწმოს თეორიები და მის საფუძველზე წამოყენებული ჰიპოთეზები, ომის ფილოსოფიის, დიდი სტრატეგიების ფორმირებისა და სახელმწიფოს ქცევის შესახებ. ამ შემთხვევაში გამოიყენება დედუქციური მეთოდი, როდესაც ცოდნა წინ უსწრებს და განსაზღვრავს კონკრეტული ფაქტების შემეცნებას. ამ დროს შემეცნება ზოგადიდან კერძოსკენ მოძრაობს. კვლევის მიზნებისთვის გამოყენებულია ომის შესწავლის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: **ომის ონტოლოგიური და ეგზისტენციალური განზომილება** – ომი განიხილება როგორც ყოფიერების განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია არსებით კატეგორიებთან, როგორცაა დრო, სივრცე, ძალა, ძალადობა და პოლიტიკა.

**ომი და მის ელემენტებს შორის ურთიერთკავშირი** – ომი მოიცავს მრავალ ელემენტს (პოლიტიკური მიზნები, სამხედრო ძალა, ეკონომიკური რესურსები, სოციალური მობილიზაცია და სხვ.), რომელთა ურთიერთმიმართება განსაზღვრავს ომის ხასიათს და დინამიკას.

**ღირებულებითი ანალიზი** – შეისწავლის ომის ღირებულებით ასპექტებს, როგორცაა: ომის მიზნები,

სამართლიანობა, ზნეობრივი გამართლება და სოციალური ღირებულება.

**ომის ტიპოლოგია და კლასიფიკაცია** – კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია ომისა და სტრატეგიის სისტემატიზაცია: პირდაპირი და არაპირდაპირი, თავდაცვითი, პრევენციული, შესაძლებლობის, ჰიბრიდული და ა.შ., რაც აყალიბებს უკეთეს ჩარჩოს სტრატეგიული დაგეგმვისთვის.

თეზისზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი – შემთხვევის ანალიზი (Case study), რომლის მეშვეობით გავაანალიზეთ თანამედროვე ჩინეთის მიერ წარმოებული შემდეგი ომები და ძალის გამოყენების შემთხვევები:

- მაო ძედუნისა და კომუნისტური პარტიის მიერ წარმოებულ რევოლუციური ომის სტრატეგია(1927-1949);
- კორეის ომი (1950-1953);
- ჩინეთ-ინდოეთის ომი (1962);
- აშშ-ს სამხედრო ჩართულობა ვიეტნამის ომში პეკინის პერსპექტივიდან (1965-1973);
- ჩინეთ-საბჭოთა კავშირის სასაზღვრო კონფლიქტი (1969);
- ჩინეთ-ვიეტნამის ომი (1979);
- სახალხო განმათავისუფლებელი არმიის გამოყენება შიდა არეულობის ჩასახშობად (1989)
- ტაივანის სრუტის კრიზისი (1995-1996)

## განსჯა, მეცნიერული მიგნებები და სიახლე

კვლევამ აჩვენა, რომ მაო ძედუნის ომის ფილოსოფიაზე დიდ გავლენას ახდენდა მისი კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც განსაზღვრავდა თუ რომელი ომი იყო სამართლიანი და რომელი უსამართლო. საბჭოთა რევოლუციონერებისგან განსხვავებით ის აქცენტს არა პროლეტარიატზე, არამედ ჩინელ გლეხებზე აკეთებდა. გამოვლენილია, რომ ეს დევიაცია ორთოდოქსული

მარქსისტული შეხედულებიდან განპირობებული იყო, ერთი მხრივ, იმდროინდელი სოციალური რეალობის შედეგად და მეორე მხრივ ჩინური სტრატეგიული კულტურის გავლენით, რომელიც პერიფერიიდან ცენტრისკენ არაპირდაპირი გზით სვლას გულისხმობს. ამრიგად, მათ ძედუნის ომის ფილოსოფია ეფუძნებოდა მარქსისტულ დიალექტიკას, მაგრამ იგი მას ჩინური სტრატეგიული კულტურის გავლენით გაიაზრებდა და ახორციელებდა.

მათ ძედუნის ომის თეორიის შედარებამ კარლ ფონ კლაუზევიცის შეხედულებებთან, ნათლად აჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში ომი პოლიტიკის გაგრძელებად განიხილება. ორივე მოაზროვნისთვის ომი არ არის იზოლირებული ფენომენი, არამედ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება და მათი განუყოფელი ნაწილია. კლაუზევიცის მიხედვით, ომი ძალადობრივი საშუალებაა, რომლის მიზანიც მოწინააღმდეგის ნებაზე ზემოქმედებაა. ხოლო მათს ხედვაში ომი არა მხოლოდ პოლიტიკის, არამედ სოციალური რევოლუციის ინსტრუმენტიცაა. რევოლუციისა, რომელიც მარქსისტული იდეებით არის განპირობებული. თუ კლაუზევიცისთვის ომის სუბიექტი სახელმწიფოა, მათ ძედუნისთვის სახელმწიფოსთან ერთად მისი სუბიექტი პოლიტიკური პარტიაც არის, რომელიც მიზნად ისახავს ძველი სახელმწიფოსა და სოციალური წესრიგის ნგრევას და ახალი სახელმწიფოს შექმნას. ამისთვის მოსახლეობის ინდოქტრინაცია და შეიარაღება საჭირო. ორივე თეორეტიკოსი აღიარებს, რომ ომის ბუნება მხოლოდ სამხედრო ტაქტიკით ან ტექნოლოგიით არ განისაზღვრება – მისი არსი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს.

კლაუზევიცთან პოლიტიკა წინ უსწრებს და აკონტროლებს ძალის გამოყენებას. სამხედრო ოპერაციები სახელმწიფოს პოლიტიკური განზრახვის რაციონალური გაგრძელებაა. ამიტომ, კლაუზევიცის ბრძოლის ველი მკაცრად

შემოსაზღვრული და სტრუქტურირებულია. მისთვის გადამწყვეტია კარგად ორგანიზებული არმია, ფორმალური სამეთაურო იერარქიით, რომელიც გენერალურ ბრძოლაში ჩართვისკენ ისწრაფვის, რათა მოწინააღმდეგეს თავს მოახვიოს მისი ნება. მისი „სამება“, რომელიც შედგება მთავრობის, არმიისა და ხალხისგან, ფუნქციონირებს როგორც სტაბილიზაციის განმაპირობებელი თუ მათ შორის სტრუქტურული ერთობა. თუ გონიერება (პოლიტიკა), შემთხვევითობა (სამხედრო მოქმედება) და ვნება (საზოგადოებრივი ემოცია) დინამიურ წონასწორობაშია ერთმანეთთან, მაშინ ომი რჩება პოლიტიკის გაგრძელება და ის რაციონალურ კონტროლს ექვემდებარება.

მაო ამ ფორმულას მარქსისტულ-დიალექტიკურ და სტრატეგიული კულტურის პრიზმაში გარდატეხს. მისთვის ომი არა არის მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი, არამედ საზოგადოების ტრანსფორმაციის დიალექტიკური პროცესია. მისთვის ბრძოლის ველი არ შემოიფარგლება არც სუბიექტით – არმიით და არც სივრცით. გლეხები, მუშები და პარტიული პოლიტიკური კადრები ომის განუყოფელი კომპონენტებია, ხოლო ბრძოლის ველი შეიძლება იყოს ყველგან. მაო ძედუნის პოლიტიკა კი არ წარმართავს ომის მიმართულელებს, არამედ ქმნის მას. მიზანი რევოლუციური ცვლილებებია და არა უსაფრთხოება ან სხვა საგარეო პოლიტიკური მიზნები.

კლაუზევიცისთვის ომი, პირველ რიგში, სახელმწიფოებს შორის კონფლიქტია, მაო კი მას კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმად მიიჩნევს, რომელიც რევოლუციურ მოძრაობას ემსახურება. მათს თეორიაში ომი მოიცავს ხანგრძლივ პარტიზანულ ბრძოლას, სახალხო ომსა და მობილურ ომს, რაც მის სტრატეგიას განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს. თუ კლაუზევიცი გადამწყვეტი კამპანიისკენ ისწრაფვის, მაო მხარს უჭერს დროში გაჭიანურებულ ომს. ის დროს იყენებს, როგორც სტრატეგიულ იარაღს. ომი ვითარდება შემდეგი

დიალექტიკური ფაზებით: თავდაცვა, წონასწორობა და კონტრმეტევა.

კლაუზევიცის მოქმედებების ლოგიკა ცენტრალიზებული, სწორხაზოვანი და კინეტიკურ ძალაზეა ორიენტირებული. მისთვის დამახასიათებელია ძალის კონცენტრაცია, მტრის ძირითადი არმიის განადგურება და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ძალას ეყრდნობა და არა დაზვერვას. მას მოქმედებების ლოგიკა უფრო დიფუზიურია, რაც გულისხმობს გაშლას, მობილურობას და მტრის ძალების ეტაპობრივ გამოფიტვას, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო საშუალებებით. კლაუზევიცისთვის გამარჯვება კონფლიქტის დამთავრებას ნიშნავს. ხოლო მასთვის გამარჯვება პოლიტიკის სფეროს გაფართოებაა ახალ საზოგადოებრივ წესრიგში, რაც გულისხმობს იმას, რომ წინააღმდეგობა ახალ ფორმებში გადადის. მასთვის ომი და პოლიტიკა ერთი და იგივე პროცესის სხვადასხვა ფაზაა – როცა ერთი მთავრდება მეორე ფორმაში გადადის.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ კლაუზევიცის და მათ ძედუნის თეორიებში ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, მათი მიდგომები განსხვავდება: ერთი სახელმწიფოთა ურთიერთობებსა და ძალთა ბალანსზე აკეთებს აქცენტს, ხოლო მეორე – რევოლუციურ ბრძოლასა და მასების მობილიზაციაზე. რა დროსაც საზოგადოების შიგნით არსებული წინააღმდეგობები განუწყვეტელი ტრანსფორმირდება. ამიტომ დროის გარკვეულ მონაკვეთში საჭიროა ახალი რევოლუცია.

ასევე, გარკვეული მსგავსება იკვეთება მათ ძედუნისა და ლ. ჰარტის ომისა და სტრატეგიის თეორიებს შორის. ორივე მოაზროვნე იზიარებს შემდეგ პრინციპებს: ა) ძლიერ მოწინააღმდეგესთან პირდაპირი შეტაკებისგან თავის არიდება; ბ) მანევრის, დროისა და სივრცის გამოყენებით მოწინააღმდეგის სუსტი წერტილების გამოვლენა და იქ

ძალების კონცენტრირება; გ) სამხედრო მოქმედებების დაქვემდებარება უფრო ფართო პოლიტიკური მიზნისთვის.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია, რომ ჩინეთის ომის ფილოსოფიამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. მარქსისტული კლასობრივი ომიდან ის გარდაიქმნა ჩინეთის აღორძინებისთვის ძალის გამოყენების ფილოსოფიად. სახალხო ომი ჩანაცვლდა მაღალი ტექნოლოგიური ომით, რომელიც მოიცავს კიბერ და კოსმოსურ განზომილებებსაც.

სი ძინფინგის ძალის გამოყენების დოქტრინა თავის თავში ატარებს ნაციონალისტური დისკურსისა და მაღალტექნოლოგიურ სამხედრო მოდერნიზაციის აუცილებლობას. ის არის ტრადიციული რეალიზმისა და მარქსისტული იდეოლოგიის ერთგვარი სინთეზი.

რაც შეეხება არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის თეორიის შემოწმებას – ჰიპოთეზები (H2, H3, H4) დადასტურდა. მათ ძედუნი დიდი სტრატეგიის და სამხედრო სტრატეგიის დონეზე ვირტუოზულად იყენებდა არაპირდაპირ მოქმედებებს. ეს დასკვნა სიმართლეა, როგორც რევოლუციური ომის, ასევე მათს მიერ წარმოებული კორეის და ჩინეთ-ინდოეთის ომების შემთხვევაშიც. ჰიპოთეზის თანახმად მათს სტრატეგიის მიზანი მოწინააღმდეგის მდგრადობის მოშლა იყო. ამისთვის მიმართავდა დროში გაწეილ სამხედრო მოქმედებებს, რომელიც მობილურ ომში გამოიხატებოდა. მანევრით და გადაადგილებით ის ცდილობდა მოწინააღმდეგის ძალების დისპოზიციის მოშლას და მათ გამოფიტვას. რევოლუციური და კორეის ომის მაგალითზე ვნახეთ არაპირდაპირო მოქმედებების მთელი კასკადი, როგორც დიდი სტრატეგიის, ასევე სამხედრო სტრატეგიის დონეზე. კორეის ომში ფარული ჩართვის მთავარი მიზანი იყო აშშ-სა და მისი მოკავშირეების ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლა, რაც გამოუვიდა იმით, რომ

ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე ძალები შეიყვანა ფარულად. ამერიკული ძალების წინაშე მოულოდნელად ასიათასობით ჩინელი ჯარისკაცი გამოჩნდა, რასაც ომის საწყის ეტაპზე ფსიქოლოგიური შოკის ეფექტი ჰქონდა. შედეგად ამერიკა იძულებული გახდა, რომ შეზღუდული სამხედრო მოქმედებები ეწარმოებინა.

კორეის ომის დროს საბჭოთა კავშირთან არსებული სამხედრო და პოლიტიკური ალიანსი ჩინეთის გრავიტაციის ცენტრი იყო, რამაც აიძულა აშშ თავი შეეკავებინა პირდაპირი შეტევისგან ჩინეთის ტერიტორიისთვის. მან აიძულა ამერიკის შეერთებული შტატები შეზღუდულ ჩარჩოებში გამოეყენებინა სამხედრო ძალები, რაც ჩინეთისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული უპირატესობა იყო. სამხედრო სტრატეგიის დონეზე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამერიკის საჰაერო ძალები პირდაპირ შეძლებდნენ შეტევას ჩინეთის ინდუსტრიულ ცენტრებზე მანჯურიაში, სადაც ქვეყნის მთავარი სამხედრო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა იყო განლაგებული. ჩინეთმა კარგად იცოდა იაპონიის მაგალითზე, თუ რა შეეძლო ამერიკულ ავიაციას. ამდენად, სინო-საბჭოთა ალიანსი ახლად შექმნილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არაპირდაპირი, დიდი სტრატეგიის გამოვლინებას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის.

რაც შეეხება ჩინეთ-ინდოეთის ომს, ჩინეთის მოულოდნელმა თავდასხმამ 1962 წელს ინდოეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მდგრადობის მოშლა გამოიწვია, რა დროსაც ჩინეთმა სწრაფად ჩაანაცვლა ომი პოლიტიკური პროცესით. სამხედრო სტრატეგია მიზნად ისახავდა სრულმასშტაბიანი ომის გარეშე გადამწყვეტი გამარჯვების მიღწევას. შესაბამისად, მიზნებიც შეზღუდული იყო. მიზნებმა კი

განაპირობეს ოპერაციისა და ტაქტიკის შერჩევაც. ჩინელმა სამხედრო მეთაურებმა, როგორც კორეის ომში, აქაც სრულად მიაღწიეს მოულოდნელობის ეფექტს. თავდასხმები განხორციელდა მოულოდნელად და ინდოეთის არმიის გამაგრებული პოზიციების გვერდის ავლით, ფლანგებზე შემოვლის გზით. ჩინეთის სახალხო განმანთავისუფლებელმა არმიამ სწრაფად გაარღვია ინდოეთის თავდაცვის პოზიციები და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომუნიკაციის ხაზები მოუჭრა ინდოეთის არმიას. პეკინის მიერ ინდოეთის არმიის დანაყოფების სწრაფმა განადგურებამ და ნაწილის დატყვევებამ ინდოეთის არმიის მორალზე ნეგატიური გავლენა იქონია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სინო-ინდოეთის მაგალითზე ჰიპოთეზა სრულად დადასტურდა.

ასევე, ნაშრომში დასაბუთებულია, რომ დენ სიაოპინის დიდი სტრატეგია წარმოადგენდა არაპირდაპირი მოქმედებების სისტემურ მოდელს, სადაც ეკონომიკური მოდერნიზაცია, საერთაშორისო ინტეგრაცია და სამხედრო ძალის შეზღუდული გამოყენება წარმოადგენდა კოორდინირებულ სტრატეგიულ მოქმედებებს, რომელიც ემსახურებოდა ჩინეთის გრძელვადიან ეროვნულ მიზნებს. წარმოდგენილია, რომ დენ სიაოპინის სტრატეგიული კონცეფცია ეფუძნებოდა ძალის ეტაპობრივი დაგროვების და მტრული ალიანსების პრევენციის ლოგიკას.

1979 წელს დენ სიაოპინის მიერ ვიეტნამის წინააღმდეგ ძალის გამოყენება წარმოადგენდა აუცილებელ სტრატეგიულ ნაბიჯს საბჭოთა კავშირის მზარდი გავლენის შესაჩერებლად ინდოჩინეთის რეგიონში. მეორე მხრივ, დენ სიაოპინისთვის მნიშვნელოვანი იყო ეროვნული განვითარებისათვის უსაფრთხო გარემოს არსებობა, რადგან მოსკოვით და მისი მოკავშირეებით გარშემორტყმული ჩინეთი ვერ შეძლებდა მოდერნიზაციასა და ეკონომიკურ განვითარებას. ომი ვიეტნამის წინააღმდეგ იყო ძალის შეზღუდული გამოყენება საბჭოთა კავშირის

დასაბალანსებლად. ასევე, ის მიზნად ისახავდა ვიეტნამის დასჯას კამბოჯაში ინტერვენციისა და რეგიონში დომინირების მცდელობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ომმა ჩინეთისთვის მოულოდნელი მიმართულება მიიღო, იგი დენის დიდი სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მთავარი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის გავლენის დაბალანსება რეგიონში. ამ მაგალითმა ნათლად დაადასტურა ჩვენი ვარაუდი, რომ ძალის გამოყენება ან გამოყენების მუქარა გათვლილი იყო ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგის პოლიტიკური ლიდერების ფსიქოლოგიაზე, მათ სუსტ მოკავშირეზე შეტევის გზით. ვიეტნამი წარმოადგენდა ალიანსში ყველაზე სუსტ რგოლს, ამიტომ ჩინეთმა მასზე განახორციელა თავდასხმა, რათა ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოეხდინა საბჭოთა კავშირის ლიდერებზე. მართალია ვიეტნამზე თავდასხმა, ასევე ჰანოისთვის „ჭკუის სწავლებასაც“ გულისხმობდა, მაგრამ საბოლოო სამიზნე კრემლის ლიდერები იყვნენ. ამიტომაც ჩინეთმა სწრაფი შეტევა განახორციელა ჩრდილოეთ ვიეტნამზე. დაიკავა სასაზღვრო ქალაქები და რამდენიმე კვირაში ისევ უკან გამოვიდა. დენ სიაოპინის მთავარი სამიზნე საბჭოთა კავშირი იყო, რომელმაც ომის დროს აშკარად დაინახა მისი სტრატეგიული შეზღუდვები რეგიონში. ცივი ომის დასრულებამდე ვიეტნამსა და ჩინეთს შორის ურთიერთობა დამაბული იყო. ჩინეთმა არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიის გზით ხანგრძლივ ვადაში სტრატეგიულ წარმატებას მიაღწია, მან შეინარჩუნა რეგიონში თავისი პოზიციები ისე, რომ განაგრძობდა ქვეყნის მოდერნიზაციას და ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო საბჭოთა კავშირის გავლენა მნიშვნელოვნად შესუსტდა.

ასევე, ვარაუდი, რომ ძიან ძემინისა და ხუ ძინთაოს მმართველობის დროს ჩინეთის დიდი სტრატეგია იყო არაპირდაპირი მოქმედების, ძირითადად, დადასტურდა. დასაბუთებულია, რომ ძიან ძემინის დიდი სტრატეგია აგრძელებდა მისი წინამორბედის მიერ შემუშავებულ

ხედვებს და იგი წარმოადგენდა არაპირდაპირი დიდი სტრატეგიის უფრო ინსტიტუციონალიზებულ ფორმას სადაც ეკონომიკური მოდერნიზაცია და საერთაშორისო ინსტიტუტებში ინტეგრაცია იქცა ჩინეთის ძლიერების ზრდის ცენტრალურ მექანიზმად.

ხუ ძინთაოს ეპოქაში ჩინეთის დიდი სტრატეგია გაფართოვდა და მოიცავდა არა მარტო ეკონომიკურ და სამხედრო სფეროს, არამედ დაემატა საინფორმაციო და კულტურული განზომილება. ნაჩვენებია, რომ კონფუცის ინსტიტუტებისა და სახელმწიფო მედიის საერთაშორისო გააქტიურება წარმოადგენს გავლენის ზრდის ინსტრუმენტს. ჩინეთის სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში მონაწილეობა პოზიტიურად აისახება მის იმიჯზე.

ამრიგად, დასაბუთებულია, რომ დენ სიაოპინის, ძიან ძემინის და ხუ ძინთაოს ეპოქაში ჩინეთის დიდი სტრატეგია წარმოადგენდა არაპირდაპირი მოქმედების სისტემურ მოდელს, რომლის ფარგლებში ეკონომიკური მოდერნიზაცია, საერთაშორისო ინტეგრაცია, სამხედრო შესაძლებლობების ზრდა და კულტურულ-ინფორმაციული გავლენა ფუნქციონირებდა, როგორც კოორდინირებული სტრატეგიული მექანიზმი და ქმნიდა უნიკალურ სინერგიას.

ხოლო რაც შეეხება სი ძინფინგის პერიოდს, მიუხედავად მისი აგრესიული სამხედრო მოდერნიზაციისა და ძალის გამოყენების მუქარისა, იგი თავს არიდებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან პირდაპირ კონფრონტაციას და უფრო ირიბი გზით ცდილობს მისი მიზნების მიღწევას. იგი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების მეშვეობით აფართოებს ქვეყნის გავლენასა და სიმდიდრეს. კვლევაში ნაჩვენებია, რომ გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩინეთი აკრიტიკებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, მხარს უჭერს რუსეთს, მაგრამ არასდროს მიდის პირდაპირ კონფრონტაციაზე.

კვლევაში დადასტურებულია, რომ პეკინი ცდილობს ტაივანის ხელისუფლების მდგრადობის მოშლას, ამისთვის ის მიმართავს სამხედრო წვრთნებს, დეზინფორმაციის კამპანიას და ფარულ ოპერაციებს, შერჩევით იყენებს ეკონომიკურ ემბარგოს. ბოლო რამდენიმე წელია სისტემატურად მიმდინარეობს სამხედრო წვრთნები ტაივანის სრუტეში. არღვევს საჰაერო სივრცეს, იყენებს სარაკეტო ძალებს, რა დროსაც ხდება ტაივანის ახლოს რაკეტების გაშვება. მთლიანობაში, პეკინი მიმართავს დაშინების მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას.

რაც შეეხება თავდასხმითი რეალიზმის თეორიის შემოწმების მიზნით დასმულ ჰიპოთეზას (H5), რომელიც გულისხმობდა, რომ ჩინეთის მიზანია რეგიონული ჰეგემონობა და ამისთვის ცდილობს ძალისა და სიმდიდრის მაქსიმიზაციას – იგი არ დასტურდება სი ძინფინგის ხელისუფლებაში მოსვლამდე. ამის მიზეზი სავარაუდოდ არის ის, რომ მიუხედავად ჩინეთის ტერიტორიული და დემოგრაფიული სიდიდისა, ის ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მხოლოდ მრავალმილიონიანი არმია და მწყობრი პოლიტიკური იდეოლოგია მას ვერ აქცევდა დიდ სახელმწიფოდ, რომელიც რეგიონში ჰეგემონიას ესწრაფვის. სი ძინფინგის წინამორბედების დროს ჩინეთის ძლიერებისთვის საფუძვლის ჩაყრა ხდებოდა.

2012 წელს, როდესაც სი ძინფინგი გახდა პარტიის გენერალური მდივანი, ჩინეთი უკვე იყო მეორე ეკონომიკური ძალა მსოფლიოში. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 8.53 ტრილიონი აშშ დოლარი იყო, ხოლო წლიური ზრდა 7.9 %. ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი კი შეადგენდა 145 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს. ამიტომ სი ძინფინგის პოლიტიკურ ამბიციებს უფრო გლობალური მასშტაბი აქვს. მისი მმართველობის 14 წლის მანძილზე ჩინეთი განაგრძობს ზრდას, როგორც ეკონომიკური და ტექნოლოგიური გიგანტი. ჯამური ძალის სხვაობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებაში სულ უფრო და უფრო

მცირდება. ჩინეთის მთლიანმა შიდა პროდუქტმა, მსყიდველობითი უნარის მიხედვით, 2017 წელს უკვე გადაასწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს. მართალია, კოვიდ პანდემიის დროს ჩინეთის ეკონომიკური ზრდა შენედა, მაგრამ სტაბილურად განაგრძობს ზრდას მისი სამხედრო ბიუჯეტი და ინტენსიურად მიმდინარეობს სამხედრო ძალების მოდერნიზაცია. 2022 წელს ჩინეთის სამხედრო ხარჯებმა 291 მილიარდზე აშშ დოლარზე მეტი შეადგინა. ხოლო ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2022 წლისთვის 18.3 ტრილიონი აშშ დოლარი იყო.

მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება 2020-2024 წლებში

ქვეყანა/წელი	ჩინეთი	აშშ
2020	14.9	20.9
2021	18.2	23.3
2022	18.3	26.0
2023	18.2	27.7
2024	18.7	29.2

წყარო: Trading Economics

მშპ – ტრილიონი აშშ დოლარი, ნომინალური (current US\$).

სამხედრო ხარჯების დინამიკა 2020-2024 წლებში

ქვეყანა/წელი	ჩინეთი	აშშ
2020	258	778
2021	286	806
2022	292	861
2023	297	916
2024	315	997

წყარო: Trading Economics: მილიარდი აშშ დოლარი.

სი ძინფინგის მმართველობის პერიოდში ჰიპოთეზა უმეტესად დასტურდება. ნაჩვენებია, რომ მისი დიდი სტრატეგია აშკარად მიმართულია რეგიონში ჰეგემონიისკენ და გლობალურ დონეზე ძალთა ბალანსის ჩინეთის სასარგებლოდ შესაცვლელად. თავდასხმითი რეალიზმის ინდიკატორებზე მიუთითებს სამხედრო ხარჯების ზრდა, მოდერნიზაცია და მთლიანობაში ქვეყნის სიმდიდრის ზრდისკენ მიმართული პოლიტიკა. რაც არ გვაქვს ჯერ, ეს გავლენისა და სიმდიდრის მიზნით წარმოებული ომებია. თუმცა სამხრეთ ჩინეთის ზღვის მილიტარიზაციის ფარგლებში პეკინი აგრესიულად ავითარებს სამხედრო ინფრასტრუქტურას და აცხადებს, რომ მისი ტერიტორიული პრეტენზიები სამართლიანია. ასევე ტაივანი ჩინეთის დიდი სტრატეგიის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. პეკინი აქტიურად ქმნის ძალის გამოყენების შესაძლებლობას, რაც რეგიონული ჰეგემონიის მისაღწევად კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სი ძინფინგი მიზანმიმართულად აძლიერებს სამხედრო თანამშრომლობას რუსეთთან, რაც ემსახურება აშშ-ისა და მისი მოკავშირეების რეგიონული ბალანსის შეცვლას, რაც თავდასხმითი რეალიზმის კლასიკურ ლოგიკას ეხმიანება.

ასევე, დადასტურდა ვარაუდი, რომ ჩინეთის მიზანია აშშ განდევნოს, რეგიონიდან, მაგრამ მიზნის მიღწევის გზები არის ირიბი. იგი ეტაპობრივად ცდილობს აშშ-ის რეგიონული გავლენის შესუსტებას და სამხედრო წვდომის შეზღუდვას, ვიდრე მის პირდაპირ განდევნას. პეკინის სტრატეგია არ არის აშკარად კონფრონტაციული იმ ფორმით, რომ რეგიონში დაუყოვნებლივი სამხედრო ესკალაცია გამოიწვიოს, არამედ ემყარება სტრატეგიული ბალანსის ეტაპობრივ ცვლილებას, რომელიც ჩინეთს გრძელვადიან პერსპექტივაში აძლევს უპირატესობას. ამის დასტურია ჩინეთის დიპლომატიური აქტიურობა რეგიონულ პარტნიორებთან, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება და სამხედრო გავლენის ზრდა, რომელიც აშშ-ის პოზიციების თანდათანობით შესუსტებას ისახავს მიზნად.

სი მინფინგის დიდი სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტი რუსეთთან სამხედრო კავშირების გაღრმავებაა, რაც აშშ-ის რეგიონული გავლენის შესუსტების მცდელობის ერთ-ერთ ინსტრუმენტად შეიძლება განვიხილოთ. პეკინი და მოსკოვი ბოლო წლებში აქტიურად ატარებენ ერთობლივ სამხედრო წვრთნებს, აძლიერებენ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას და ავითარებენ ენერგეტიკულ პროექტებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ერთობლივი ძალისხმევით ცდილობენ დასავლური გავლენის შეკავებას.

ბოლო წლებში ჩინეთის ბირთვულმა შესაძლებლობებმა მნიშვნელოვანი განახლება განიცადა. 2023 წელს პეკინმა განაგრძო ბირთვული შეიარაღების სწრაფი გაფართოება. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის შეფასებით, 2024 წლის შუა პერიოდისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არსენალი 600-ზე მეტ ბირთვულ ქობინს შეადგენდა, ხოლო 2030 წლისთვის ეს რიცხვი 1000-ს გადააჭარბებს. ამ ქობინების მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო მაღალი მზადყოფნის დონეზე იქნება განლაგებული. ჩინეთი შეიარაღების ზრდას სულ მცირე 2035 წლამდე გააგრძელებს. ჯერ კიდევ 2020 წლისთვის ჩინეთის ბირთვული ქობინების მარაგი 200 ერთეულის ფარგლებში იყო შეფასებული.

ბირთვული ქობინების რაოდენობის შედარება ჩინეთი და აშშ

ქვეყანა/წელი	2024	2030
ჩინეთი	>600	>1000
აშშ	3748	

წყარო: აშშ ომის დეპარტამენტი 2024

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აგრძელებს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების (ICBM) გამშვები დანადგარების რაოდენობის ზრდას და ზოგიერთ

ნაწილში მათი რაოდენობა გაორმაგებული აქვს. ჩინეთის ICBM-ების არსენალი შედგება დაახლოებით 400 ერთეულისგან, რომლებიც მოიცავენ როგორც ფიქსირებულ, ისე მოძრავ გამშვებ სისტემებს. აღნიშნული სისტემები უზრუნველყოფენ, როგორც ერთთავიანი, ასევე მრავალთავიანი ბირთვული ქობინების (MIRV) გამშვებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სტრატეგიული შეკავებისა და ოპერაციული მოქნილობის შესაძლებლობებს.

ჩინეთის სარაკეტო ძალების საშუალებები 2024 წლის მონაცემებით

სისტემა	რაკეტები	მანძილი
ICBM	400	>5,500 კმ
IRBM	500	3,000-5,500 კმ
MRBM	1300	1,000-3,000 კმ
SRBM	900	300-1,000 კმ
GLCM	400	>1500 კმ

წყარო: აშშ ომის დეპარტამენტი

აშშ-ჩინეთის დაპირისპირება ხელოვნური ინტელექტის სფეროში არა მხოლოდ ტექნოლოგიური კონკურენციაა, არამედ ახალი სტრატეგიული ბრძოლის ველი, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო წესრიგს XXI საუკუნეში. ჩინეთი აქტიურად ცდილობს AI-ის განვითარებით შეასუსტოს აშშ-ის ტექნოლოგიური უპირატესობა და გააძლიეროს საკუთარი გეოპოლიტიკური და სამხედრო პოზიციები, რაც მის დიდ სტრატეგიაში ცენტრალურ როლს ასრულებს. PLA-ს მიერ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია, A2/AD სტრატეგიის გაძლიერება და „ციფრული აბრეშუმის გზის“ ფარგლებში ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ექსპორტი ჩინეთის რეგიონული ჰეგემონიის განმტკიცებას ემსახურება, ხოლო პარალელურად, აშშ ცდილობს სანქციებითა და მოწინავე ტექნოლოგიების კონტროლით შეზღუდოს ჩინეთის შესაძლებლობები. ხელოვნური ინტელექტის სფეროში დაპირისპირება გადამწყვეტ ფაქტორად იქცა არა მხოლოდ

ეკონომიკური, არამედ სამხედრო და გეოეკონომიკური გავლენის გადანაწილებაში, რაც სრულად ეხმიანება შეტევითი რეალიზმის ლოგიკას და ჰიპოთეზის მთავარ პრინციპებს.

ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბებული იქნა ჰიპოთეზა (H6) რომელიც ვარაუდობს, რომ ჩინეთის დიდი სტრატეგიის ფორმირებაზე გავლენას ახდენს სისტემური ცვლადი – სტრატეგიული გარემო, ასევე გარდამავალი ცვლადები ლიდერის იმიჯი და სტრატეგიული კულტურა.

კვლევაში ნაჩვენებია, რომ მათ ძედუნის შემთხვევაში შეზღუდულმა სტრატეგიულმა გარემომ, მისმა მარქსისტულმა იდეოლოგიამ და ჩინეთის სტრატეგიულმა კულტურამ განაპირობა თავდაცვითი დიდი სტრატეგია, რომელიც მარქსისტული მოძღვრების მიხედვით რევოლუციურ და კლასობრივ ომს გულისხმობდა, ხოლო მისმა სტრატეგიულმა კულტურამ, რომელიც ჩინეთის გამოცდილებით ჩამოყალიბდა ამ ომის არაპირდაპირი ხასიათი განაპირობა.

რაც შეეხება დენის მმართველობის პირველ ეტაპს, დასაბუთებულია, რომ შეზღუდულმა გარემომ (იგულისხმება დამაბულობა საბჭოთა კავშირთან და ომი ვიეტნამში), მოგვიანებით კი, ღია სტრატეგიულმა გარემომ (ურთიერთობის თვისობრივი გაუმჯობესება აშშ-სთან და ნორმალიზაცია საბჭოთა კავშირთან) განაპირობა ჩინეთის განვითარებაზე ორიენტირებული დიდი სტრატეგია. იდეოლოგია მათ ძედუნსაც და დენ სიაოპინსაც ერთნაირი ჰქონდათ, მაგრამ დენის შემთხვევაში გადამწყვეტი იყო მისი ოპერაციული კოდი, რომელიც პრაგმატიზმით ხასიათდებოდა. ამიტომ მან ინდოქტრინაციას ქვეყნის შიგნით კაპიტალისტური რეფორმები არჩია, ხოლო საგარეო პოლიტიკაში მასთან თვისობრივად განსხვავებულ მოკავშირესთან შეკრა ალიანსი. კლასობრივი ბრძოლის დოქტრინა ჩანაცვლდა ქვეყნის განვითარებისთვის ბრძოლით.

რაც შეეხება სი ძინფინგის მმართველობის დროს, ნაჩვენებია, რომ უკვე დაიწყო ჩინეთის ირგვლივ სტრატეგიული გარემოს ცვლილება, რაც ნაწილობრივ მისი წინამორბედის დამსახურებაცაა, თუმცა მისმა აგრესიულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო დააჩქარა ჩინეთს და ამერიკას შორის კონკურენციის დაწყება.

თუ არაპირდაპირი სტრატეგიის თეორია კარგად გვიხსნის ჩინეთის დიდი სტრატეგიის რაობას, ნეოკლასიკური რეალიზმი უფრო სრულყოფილად აღწერს მისი ფორმირების მიზეზებს. არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია უფრო გვაჩვენებს მას დინამიკასა და ფორმებში, ხოლო ნეოკლასიკური რეალიზმი მის წარმოშობის ძირებს წვდება. თუმცა მისი წარმოშობის მიზეზებიც და ფორმაც ჩინეთის სტრატეგიული კულტურიდან იკვებება.

## დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევაში აღმოჩენილია კავშირი თავდასხმით რეალიზმსა და არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიას შორის. ჩინეთის შემთხვევაში შეტევითი რეალიზმის მიზნები, რეგიონული ჰეგემონიის მიღწევა და ამერიკის გავლენის დაბალანსების ტენდენციები იკვეთება, მაგრამ ნაცვლად აგრესიული ომისა და ძალის პირდაპირი გამოყენებისა, სი ძინფინგის სამხედრო – პოლიტიკური გუნდი ამ მიზნის მიღწევისთვის არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიას იყენებს, რომელიც შემდეგ მოქმედებებში გამოიხატება: ეკონომიკური ზეწოლა, სამხედრო წვრთნები და ძალის დემონსტრირება, ფსიქოლოგიური ოპერაციები, დიპლომატიური იზოლაცია და ზეწოლა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთის მოქმედებები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. ეს შემთხვევა გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება შეტევითი რეალიზმის მიზნები მიღწეულ იქნას არაპირდაპირი მეთოდებით. კლასიკური თავდასხმითი

რეალიზმისგან განსხვავებით, თანამედროვე მიდგომა აერთიანებს სახელმწიფო ბერკეტებს, კერძო სექტორს და ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტებს.

დასაბუთებულია, რომ თავდასხმითი რეალიზმისა და არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის კომბინაცია ქმნის გრძელვადიან, სტრუქტურულ ზეწოლას მოწინააღმდეგე სახელმწიფოებზე, ახდენს მათი შიდა სტაბილურობის დარღვევას, რის შედეგადაც ქმნის გეოპოლიტიკური სივრცის კონტროლის შესაძლებლობას. ასევე, ის ამზადებს ხელსაყრელ გარემოს ძალის გამოყენებისთვის.

გამოვლენილია, რომ შეტევითი რეალიზმისა და არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის სინთეზი სი ძინფინგის მმართველობის დროს თვალსაჩინო გახდა, რაც იმაზე მიაჩნებს, რომ ჩინეთი ცდილობს მოიპოვოს გავლენა ისე, რომ თავი აარიდოს ამერიკისა და მის მოკავშირეებთან პირდაპირ სამხედრო დაპირისპირებას ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების თეატრზე. ამავე კონტექსტში უნდა იქნეს გააზრებული პეკინის მიდგომა უკრაინის ომთან მიმართებაში. კვლევის პროცესში პეკინი არ ეხმარებოდა რუსეთს პირდაპირი სამხედრო ძალით, მაგრამ მასთან ეკონომიკური და სხვა სახის თანამშრომლობა სასარგებლოა მოსკოვისთვის ომის გასაგრძელებლად.

ნაშრომში განხილული საკითხები და მიღებული დასკვნები გვაძლევს შესაძლებლობას შემდეგი სახის რეკომენდაციები და პროგნოზი გავაკეთოთ: ჩინეთის დიდი და სამხედრო სტრატეგიის გასაგებად და მასთან ხანგრძლივადიანი პოლიტიკისა და სტრატეგიის დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია ვისარგებლოთ ლ. ჰარტის არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის პარადიგმით. შემეცნების თვალსაზრისით ის გასაგებია დასავლელი ადამიანისათვის, ხოლო მისი უნივერსალური ბუნება კულტურის მიღმა დგას, ვინაიდან ის ადამიანის არსის უზოგადეს პრინციპს ეხმიანება.

ასევე, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია ომის ფილოსოფიისა და სტრატეგიის მულტიდისციპლინურ კვლევებში ინკორპორირებულ იქნას ალექსანდრე ვენდტის მიერ შემუშავებული „კვანტური სოციალური მეცნიერების“ სააზროვნო პარადიგმები და მეთოდოლოგია. ვინაიდან კვლევის შედეგად წავაწყდით ისეთ პარადოქსულ მოცემულობას, რომ ჩინეთის დიდი სტრატეგია ერთდროულად მშვიდობიანიც არის და აგრესიულიც, არაპირდაპირიც და თავდასხმითი რეალიზმის ელემენტებსაც შეიცავს. ამიტომ იგი აშკარად ცდება კლასიკური ფიზიკის საფუძველზე შექმნილი სოციალური მეცნიერების მექანიკურ საზღვრებს. სტრატეგიის გააზრებისთვის შესაძლოა გამოსადეგი იყოს ისეთი ცნება, როგორცაა სუპერ პოზიცია, რომელმაც კვანტური მექანიკიდან სოციალურ მეცნიერებებში გადმოინაცვლა და გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე სტრატეგიის პოტენციალის არსებობას ერთი სახელმწიფოსთვის. ჩინეთის ომებისა და დიდი სტრატეგიის მაგალითი აჩვენებს, რომ სოციალურ რეალობას ერთდროულად რამდენიმე პოტენციური ვარიანტი გააჩნია. პოლიტიკური ლიდერები წინააღმდეგობრივი შეხედულებებითა და მოქმედებებით ხასიათდებიან. კონტექსტის გააზრების, პირადი დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება და ერთი კონკრეტულ არჩევანზე ჩამოყალიბება.

რაც შეეხება პროგნოზებსა და სავარაუდო სცენარებს, თუ პეკინის გააგრძელებს თავდასხმითი რეალიზმისა და არაპირდაპირი მიდგომის სინთეზურ დიდ სტრატეგიას, მოკლევადიან პერსპექტივაში ტაივანთან დაკავშირებით პოლიტიკური დამაბულობა კიდევ უფრო გაიზრდება, მაგრამ ძალის პირდაპირი გამოყენების ნაცვლად მუქარისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების ინტენსივობა გაიზრდება. ასევე, გაიზრდება საინფორმაციო და კიბერ

შეტევების წილი ტაივანის სამხედრო პოლიტიკურ ელიტაზე და მთლიანად საზოგადოებაზე. ამერიკისა და ჩინეთის დაპირისპირება ხელოვნური ინტელექტისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში კიდევ უფრო გაძლიერდება და შესაძლოა, ამ დაპირისპირებამ კოსმოსის კოლონიზაციის პროცესშიც პოვოს გამოვლინება. ახლო ვადიან პერსპექტივაში საერთაშორისო ალიანსები ჩინეთის შეკავების მიზნით უფრო სტრუქტურირებული გახდება.

რაც შეეხება საშუალო ვადიან პერსპექტივას (10-15 წელი) ჩინეთის გავლენა გლობალურად კიდევ უფრო გაიზრდება. ეს გავლენა თვალსაჩინო იქნება ცენტრალურ აზიასა და აფრიკაში. რუსეთთან სტრატეგიული თანამშრომლობა სულ უფრო მჭიდრო გახდება და რუსეთის ჩინეთზე დამოკიდებულება გაიზრდება. თუმცა აქ ბალანსი შესაძლოა შენარჩუნებული იქნას ამ ორ აქტორს შორის შიდა უნდობლობის ხარჯზე. ასევე, სინო-რუსული თანამშრომლობის პერსპექტივისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ იქნება პუტინის შემდეგ რუსეთის მმართველი. ჩინეთი შეეცდება ამ პერიოდში დაასრულოს ალტერნატიული საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბება, რომელიც საპირწონე იქნება „დასავლური“ საერთაშორისო სისტემისა. ასევე, სამხედრო მოდერნიზაციის შედეგად ჩინეთის შეიარაღებული ძალები უფრო თამამად და აგრესიულად იმოქმედებენ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის თეატრზე.

ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში (20-30 წელი) ჩინეთი დაასრულებს ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესს. იგი რეგიონში გახდება დომინანტი ძალა და გლობალურ დონეზე გაიზრდება მისი გავლენები, როგორც „თიანისას“ მოდელი ითვალისწინებს. საერთაშორისო სისტემაში იქნება ორი სუპერ სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი. მათთვის მთელი პლანეტა რეგიონი იქნება. პლანეტის ყველა წერტილში შეეძლება ძალის პროექცია,

ისე, როგორც დღეს მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატების შეუძლია.

ასევე, სისტემაში იქნება რამდენიმე დიდი სახელმწიფო, კერძოდ: ინდოეთი, რუსეთი და ბრაზილია. შესაძლებელია, მსგავსი სტატუსი შეიძინოს ისეთმა სუპრანაციონალურმა წარმონაქმნმა, როგორცაა ევროკავშირი, თუმცა მას ამისთვის თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემის რეფორმა დაჭირდება. ასევე, საერთაშორისო სისტემაში იქნება რამდენიმე რეგიონული სახელმწიფო, როგორცაა: თურქეთი, ირანი და სხვა. ამ ყველაფერს სავარაუდოდ, შედეგად მოჰყვება საერთაშორისო წესრიგის ორ ბლოკად დაყოფა. ერთ მხარეს ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები, ხოლო მეორე მხარეს ავტორიტარული მმართველობის მქონე ქვეყნები ჩინეთის ხელმძღვანელობით.

თუმცა არსებობს ალბათობა, რომ მეორე და მესამე ფაზის პროცესები დაჩქარდეს. საშუალო და გრძელვადიანი დინამიკაში პროცესები ერთმანეთში სწრაფად გადაიკვეთოს. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ჩინეთის სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესი და სამხედრო მოდერნიზაცია იყოს. ასევე, სახეზე გვაქვს ტრამპის ახალი ადმინისტრაციის მიერ ამერიკის ძლიერებისა და გავლენის კონსოლიდაციისთვის დაწყებული რადიკალური ცვლილებები. ამიტომ შესაძლოა, ჩინეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატების ირგვლივ დაჯგუფება უფრო ადრე მოხდეს, რაც ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებს აღმოსავლეთ აზიაში.

**Grigol Robakidze University**

**With the right of manuscript**

**Levan Gegeshidze**

**The Philosophy of War and Grand Strategy in Contemporary  
China**

**Educational programme: Political Philosophy**

**Thesis is presented for obtaining of the PhD Degree of Philosophy**

**Abstract**

**Tbilisi**

**2026**

Grigol Robakidze University

Scientific supervisor: Mikheil Gogatishvili,  
PhD in Philosophy, Professor

The date of the defence will be published on the website of university:  
[www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)

The defense of the dissertation will take place at Grigol Robakidze University at a session of the Certifying Committee of Experts of the School of Humanities and Social Sciences.

The dissertation is available at the library of Grigol Robakidze University, Tbilisi, Irina Enukidze №3 (David Agmashenebeli Alley 13).

## Table of Contents

<a href="#"><u>Introduction</u></a> .....	34
<a href="#"><u>Review of the Scientific Literature</u></a> .....	38
<a href="#"><u>Description of the Research Methodology and Results</u></a> .....	41
<a href="#"><u>Conclusion and Recommendations</u></a> .....	55

## Introduction

The formation of the modern Chinese state proceeded through a series of wars. In the first half of the nineteenth century, China – a vast but technologically backward state – came into confrontation with the developed states of West. Later, it became the victim of an attack by modernized Japan. The People's Republic of China was born in the midst of war. The leaders of the Chinese Communist Party studied the nature and character of war both theoretically and practically. They sought to conduct war rationally. The aim of the present study is to examine the philosophy of war and grand strategy in modern China: how the ruling political elite understood, and continues to understand, war; what they consider to be a just war; and under what circumstances they regard the use of force as justified.

War, as a system of knowledge, is highly complex and multifaceted; it is understood as a subfield of political philosophy. War is internally contradictory, yet insofar as it serves the theoretical comprehension of political aims, its goals and objectives are closely connected with the tasks of political philosophy. Through the efforts of many generations of different scholars, a system of knowledge emerged that is now referred to as the philosophy of war. The philosophy of war does not prescribe or determine what should be done here and now, or how it should be done. Rather, it indicates what one should begin from in extraordinary circumstances and what principles should guide decision – making, as well as the determination of directions and methods of action.

Unlike the philosophy of war, grand strategy denotes the state's most general and comprehensive approach, one that integrates the various elements of state power. The objectives of grand strategy are long-term. As a future-oriented project, it seeks either to establish a new order or to preserve an existing one. Grand strategy is broad in scope: it encompasses political, military,

economic, and informational dimensions. It responds to both systemic and internal challenges, yet it is always nourished by historical and intellectual traditions.

